
საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 98 05 21

Mail:expert_development@gmail.com

25/03/2019 წელი



საექსპერტო დასკვნა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე

ქ.თბილისი, გლდანი V მ/რ; ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ კორპუსი №11-ის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ კორპუსი №11-ის მიმდებარე; ქალაქი თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი V საკადასტრო კოდით №01.11.09.004.028 შპს "ნოლა 16" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებარე თხუთმეტ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდუნარიან კონსტრუქციულ ელემენტებზე მდგრადობისა და წარმოდგენილი კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მიმართ ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობის საექსპერტო კვლევა

შინაარსი

ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ; ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ კორპუსი №11-ის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, გლდანი V მ/რ კორპუსი №11-ის მიმდებარე; ქალაქი თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი V შპს "ნოლა 16"-ის წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებარე თხუთმეტ სართულიანი შენობის მზიდუნარიან კონსტრუქციებზე კერძოდ, ფუძე-საძირკვლებზე, კოლონებზე, რიგელებზე, რკინა-ბეტონის ფილებზე და ყველა ძირითად საყრდენ ელემენტებზე, ვინაიდან საპროექტო კორექტირებული დოკუმენტაციის მიხედვით სენობას დამატებით დაემატა ერთი სართული წინა პროექტთან მიმართებაში.

აღნიშნული შენობის კონსტრუქციული ელემენტების დათვალიერებისა და შემოწმების შედეგად შევისწავლეთ კონსტრუქციული მახასიათებლები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. შენობის საძირკველი განხორციელებულია რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე;



2. მზიდი კონსტრუქციული სქემა მონოლითური რკინა-ბეტონის კრაკასული ტიპისაა;

3. სართულშუა გადახურვები მონოლითური ორმაგად არმირებული ფილებით არის განხორციელებული

შენობის მზიდუნარიანი კონსტრუქციების შესწავლის შედეგად, საანგარიშო სქემა თავისი ტექნიკური მახასიათებელების მიხედვით საშუალო სირთულის აგებულებისაა, რომელიც განთავსებულია ოდნავ დახრილ რელიეფზე. ადგილზე შემოწმების საფუძველზე არსებული შენობის ფუძე-საძირკვლებზე არ აღინიშნება არავითარი სახის რღვევის ნიშნები და ჯდენითი პროცესების კვალი. მზიდი საყრდენი ელემენტები სვეტები, რიგელები და დიაფრაგმები განხორციელებულია კონსტრუქციული ნორმების შესაბამისად და არ აღენიშნებათ დეფორმაციების კვალი, ანალოგიურად არის განხორციელებულია რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვის ფილები, რომლის თავზე მოწყობილია გადახურვა. დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე არ შეიმჩნევა ბზარების კვალი და დეფორმაციების წარმოქმნის პირობა. შენობა აკმაყოფილებს კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით პროექტში შევიდა ცვლილებები, რის შედეგად დამატებით შენობას დაემატა ერთი სართული.

შენობას ესაზღვრება საკადასტრო კოდით №01.11.09.004.015 (ქ.თბილისი, მწვანე ქუჩა №1) მიწის ნაკვეთი, სადაც მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

შენობის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. შენობის ფუნდამენტი დაფუძნებულია რკინა-ბეტონის ხიმინჯოვან ტიპის საძირკველზე;

2. შენობა თავისი კონსტრუქციული მახასიათებლების მიხედვით კარკასული ტიპისაა;

3. სართულშუა გადახურვები განხორციელებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ფილების წყობით



წარმოდგენილი მდგომარეობის შესწავლის მიხედვით შენობის ტექნიკური მდგომარეობა აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებს. ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად შენობაში არ იქნა აღმოჩენილი რღვევის ნიშნები და დეფორმაციების კვალი, შესაბამისად ჯდენითი პროცესები არ მიმდინარეობს.

საპროექტო კორექტირებული დოკუმენტაციის მიხედვით გაანგარიშების საფუძველზე უარყოფითი ზეგავლენის წარმოქმნის საშულება აღნიშნული მომიჯნავე შენობის მიმართ არ არსებობს, ვინაიდან შენობებს არ გააჩნიათ საერთო კონსტრუქციული კავშირი და მომიჯნავე შენობა დაცილებულია საკმარისი მანძილით. იმ თვალსზრისით, რომ წარმოიქმნას ისეთი სახის დატვირთვები, რაც გადაეცემა ერთიანი შენობის კონსტრუქციებს და წარმოქმნის მომიჯნავე შენობის მიმართ ძალვების განშლას არ არსებობს, ვინაიდან კონსტრუქციული ანგარიშებისა და საანგარიშო წონის მიხედვით არ ხდება საყრდენი ელემენტების მიმართ დატვირთვა, რაც გამოიწვევდა შენობის მიმართ ზეგავლენას და მომიჯნავე შენობაზე იქონიებდა უარყოფით გავლენას. აქედან გამომდინარე კორექტირებული დოკუმენტაციის მიხედვით გამოირიცხება ყოველგვარი სახის დამაზიანებელი ფაქტორების წარმოქმნა აღნიშნული მომიჯნავე მშენებარე შენობის მიმართ.

მშენებარე შენობას ირგვლი ესაზღვრება მხოლოდ გზა და მომიჯნავე ტერიტორია საკ. კოდით №01.11.09.004.001, სადაც განთავსებულია ერთ სართულიანი ნაგებობა, თუმცა მშენებარე შენობის არეალიდან დაცილებულია საკმარისი მანძილით, რის საფუძველზეც ზეგავლენის წარმოქმნის საშუალება გამოირიცხება.



დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ზემოთ აღნიშნული მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია. ზემოთ ხსენებული მომიჯნავე შენობის მიმართ ყოველგვარი სახის ზეგავლენის წარმოქმნის პირობა არ არსებობს, რის საფუძველზეც ექსპერტიზის გათვალისწინებით ეხმიანება დადებითი შეფასება.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

ინჟინერ-ექსპერტი: